

დანართი 37

მდნობელი 041151

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მდნობელის სპეციალობა მიეკუთვნება თუჯის, ფოლადის, ფეროშენადნობებისა და ფერადი ლითონების წარმოების და მეორადი ლითონების გადამამუშავების სფეროს.

II. დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით ლითონის მდნობელი არის ტექნიკური პერსონალი, რომლის მოღვაწეობის სფეროს წარმოადგენს მადნებიდან ლითონის მიღება, მეორადი ლითონის გადამამუშავება. სპეციალისტს შეუძლია მუშაობა ყველა სახის მეტალურგიულ და მანქანათმშენებლობის საწარმოებში.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მდნობელის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V) და თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა დიპლომი.

მდნობელის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს, მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მდნობელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მდნობელის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 40 კრედიტს, მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მდნობელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მდნობელის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მდნობელის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. მდნობელის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

მდნობელის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტალურგიის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტები, პრინციპები. პროცესები და ზოგადი კონცეფციები. • ლითონსადნობი საამქროს, სადნობი ღუმელების მუშაობის რეჟიმები. • გართულებული დნობის შემთხვევაში ტექნოლოგიური პროცესის გამოსასწორებლად აუცილებელად მისაღები გადაწყვეტილებები. • სლითონების გადადნობის ტექნოლოგიური და ტემპერატურული /ლითონის მისაღები კაზმების შედგენა და დნობა/რეჟიმები <p>აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ლითონების დნობის შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტაბილურ გარემოში შეასრულოს წინასწარგანსაზღვრული დავალებები, გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი. შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სხვადასხვა მეთოდები.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოიყენოს ლითონის მდნობელისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, პრაქტიკულად შეაფასოს ლითონის დნობის ტექნოლოგიური და თბური პროცესები. ითვალისწინებს დნობის ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებს, გარკვეული დამოუკიდებლობით ახორციელებს ლითონის შედგენის კორექციას. • მოცემული შედგენილობის ლითონის გადადნობისას, შეარჩიოს სათანადო მეთოდები, ტექნოლოგია, მასალები და სადნობი აგრეგატები. მათი რეჟიმები. • სტაბილურ საწარმოო პირობებში დამოუკიდებლად შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დნობის პროცესში წამოჭრილი პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მეტალურგ. ტექნოლოგიის მოწინავე მეთოდები და აკეთებს შესაბამის დასკვნას. ითვალისწინებს ტექნ. პროცესის თავისებურებებს. • განსხვავებულ სიტუაციაში წამოჭრილი პრობლემების (დნობის ტექ. რეჟიმის დარღვევა, პროცესის ინტენსიფიკაცია, ლითონის შედგენილების კორექცია) გადასაჭრელად, ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, შეფასება და ანალიზი.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმ. და საკომუნიკ. ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხო ენაზე მარტივი კომუნიკაცია.	შეუძლია: <ul style="list-style-type: none"> • მდნობელის პროფესიასთან დაკავშირებით ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში. • მეტალურგიის სფეროში უცხოურ ენის პრაქტიკული გამოყენება ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს,
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია: <ul style="list-style-type: none"> • წინასწარგანსაზღვრული შედეგნილობის ლითონის გამოდნობის ტექნოლოგიური სქემის შედგენა და შესაბამისი მეთვალყურეობით მისი განხორციელება, • საკუთარ სწავლა-განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს მდნობელის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად, იცავს შრომის უსაფრთხოების წესებს.

მდნობელის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის მეტალურგიის სფეროს ლითონის მიღებისა და დნობის თეორიული საფუძვლები, აცნობიერებს ლითონის გადადნობისა და გამოდნობის ტექნოლოგიებს, ტექნოლოგიური პროცესის დროს სხვადასხვა ფაქტორების: ტემპერატურა, მასალეების შედგენილობა, მათი ფიზიკური თვისებების გავლენას; პრობლემების გადაჭრისას ფლობს ზოგადი მენეჯმენტის და მეწარმეობის საფუძვლებს, იცის მეტალურგიულ საწარმოში ეკოლოგიური უსაფრთხოების საფუძვლები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ლითონის მიღებისა და მეორეული ლითონის გადადნობის სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს დნობის სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს საკაზმე მასალეების გამოყენებით ლითონის მიღების და მეორეული ლითონის გადადნობის ტექნოლოგიური პროცესების პარამეტრების და ლითონის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების შესაბამისობა, შეუძლია ლითონის დნობისას გამომავალი აირების გამწმენდი სისტემების გამოყენება.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია ლითონის დნობის ტექნოლოგიური სპეციფიკური პრობლემების– დნობის ტექნოლოგიური და თბური რეჟიმის დარღვევა– გადასაწყვეტად შესაბამისი ტექნიკური ჩარევის ან თბური რეჟიმის კორექტირების ღონისძიებების საფუძველზე დასკვნების გამოტანა, ალტერნატიული ტექნოლოგიის შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი, ლითონის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ დასკვნის გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ლითონის მდნობელის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია მეტალურგიის სფეროში უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, მეტალურგიის სფეროში უცხოურ ენაზე კომუნიკაცია.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია სწავლის გაგრძელება მეტალურგიის პროფილით ლითონის მდნობელის სპეციალობის შემდეგ საფეხურზე, დარგის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება მდნობელის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს, აცნობიერებს ლითონის წარმოების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და თავდაცვის სფეროში, ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს დარგის განვითარების ინტერესების შესაბამისად.

მდნობელის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის თუჯის, ფოლადის, ფეროშენადნობების და ფერადი ლითონების გამოდნობის თეორიისა და ტექნოლოგიური პროცესები, მეორეული ლითონების გადადნობის ტექნოლოგიები, გაცნობიერებული აქვს სადნობი ღუმელების მუშაობის რეჟიმები და ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყოფილი აირების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპები. იცის სხვადასხვა შედგენილობის ლითონის საკაზმე მასალების მომზადება და კაზმის გათვლა, სადნობი ღუმელების მუშაობა, აქვს მდნობელის პროფესიასთან დაკავშირებული თანამედროვე მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული, თეორიული, პრაქტიკული და ახალი ტექნოლოგიების ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია მეტალურგიის დარგში, კერძოდ, მდნობელის სპეციალიზაციის სფეროში თუჯის დნობისას საკაზმე მასალების (მადანი, აღმდგენელი, ფლუსი) გათვლა, კაზმის დანაჰროვნება და დნობა, ფოლადის დნობა, ფეროშენადნობების და ფერადი ლითონების გამოდნობა და მეორეული ლითონების გადადნობა, სადნობი ღუმელების მუშაობის რეჟიმები და პრაქტიკული მუშაობა, დნობის ტექნოლოგიური პროცესის დროს ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონიძიებები და გამომავალი აირების გამწმენდი სისტემების მუშაობა, გამოდნობილი ლითონების ხარისხის გაუმჯობესება, დარგის მარკეტინგი და მენეჯმენტის პრინციპები, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია მეტალურგიის დარგში ლითონის მიღებისა და მეორეული ლითონების გადადნობის სფეროში არსებული პრობლემების– ტექნოლოგიური და თბური რეჟიმების დარღვევა და სხვა გარემოებები– გადაჭრისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება ხარვეზების აღმოსაფხვრელად, გამოდნობილი ლითონის სტანდარტთან იდენტიფიცირება, დნობის სტანდარტული მეთოდების გამოყენება, სადნობი ღუმელების მომსახურება.</p>

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია მეტალურგიის სფეროში იდეებისა და ინფორმაციის მოძიება ახალი მეტალურგიული ტექნოლოგიების შესახებ და მოძიებული ინფორმაციის დამუშავება, ISO სტანდარტების მოძიება და ლითონის შედგენილობის იდენტიფიკაცია, სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად მეტალურგიული ტექნოლოგიების სისტემატიზაცია, ამ საკითხზე მეტი ხარისხიანი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია მეტალურგიის სფეროს საკითხებზე ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა უცხოურ ენაზე .</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია მადნებიდან ლითონის მიღების, მეორეული ლითონების გადადნობის, სადნობი აგრეგატების მუშაობის, შემდგომი სწავლა–განათლების მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას მდნობელის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს ხარისხიანი ლითონის წარმოების ტექნოლოგიებს, იცავს ეთიკურ პრინციპებს, ეკოლოგიური და შრომის დაცვის წესებს.</p>